ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 18

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების
შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის, 30[1] მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის სისწორის შემოწმების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **ჩიხლაძე მანანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **ჯიშკარიანი შოთა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **კოსტავა მაგდა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
4. **მხეიძე დიმიტრი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
5. **გიორგაძე მიხეილი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
6. **სარალიძე სალომე**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
7. **არჩაია ელეონორა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის სისწორის შემოწმების შესახებ“ წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. №---18--
„3“ ----11-----2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
საქართველო • საქართველო